



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 42
02/08/2018

42-06-4-201808021429



დადგენილება № 42

1 აგვისტო 2018 წელი

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 ნაწილის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელი (შემდგომში - „მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი“).
2. მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი თითოეული კვადრატული მეტრისათვის განისაზღვროს:
 - ა) საკურორტო და რეკრეაციულ ზონებში:
 - ა.ა) სააგარაკო და ინდივიდუალური სახლებისათვის-1 ლარი;
 - ა.ბ) მრავალბინიანი სახლები, კომერციული დანიშნულების ობიექტები (სასტუმრო, სავაჭრო და გასართობი) -1 ლარი;
 - ა.გ) სამრეწველო ობიექტი-5 ლარი;
 - ა.დ) სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, სარეზილიტაციო პროფილის შენობა-ნაგებობებისათვის - 0.50 ლარი;
 - ბ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვა დანარჩენ ტერიტორიაზე: ბ.ა) კომერციული დანიშნულების ობიექტებისათვის-1 ლარი;
 - ბ.ბ) ინდივიდუალური სახლებისათვის-0,50 ლარი;
 - გ) მოცულობითი ნაგებობებისათვის (მიწისზედა და მიწისქვეშა)-0.50 ლარი; დ) ობიექტის დემონტაჟი-0,50 ლარი;

ე) ხაზობრივი ნაგებობებზე:

ე.ა) I, II, III კატეგორიის ნაგებობებზე -0.30 ლარი; ე.ბ) IV კატეგორიის ნაგებობებზე -0.50 ლარი;

3. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია დანართის შესაბამისად.

4. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების, პირობების და I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განთავსება/მშენებლობა შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის გარეშე“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 2 მარტის N11 დადგენილება (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 110309012, 22/03/2011 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 330010040.35.113.016036).

ბ) „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღებისა და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 მაისის N32 დადგენილება (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 08/05/2018 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.113.016352).

5. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

